საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №044/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ /სიითი№ /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ა.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 20 აპრილს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ. და ადვოკატ მ. ა.-ს წინააღმდეგ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. 2018 წლის 21 მაისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის ინტერესები წარმოადგინა მ. მ.-ს შვილმა - მ. დ.-მ.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 27 მაისს შპს “ე.-კ.” გააფორმა სესხის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად დაიტვირთა მისი საცხოვრებელი სახლი. 2016 წლის მაისიდან მ. მ. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყოველთვიურ გადასახადს ვეღარ იხდიდა, რის გამოც კომპანიასთან ურთიერთობა დაეძაბა. სწორედ ამ საფუძვლით, საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატ მ. ა.-ეს, რომელმაც თანხმობა განუცხადა საქმის აღებაზე და დაჰპირდა, რომ დავას მის სასარგებლოდ დაასრულებდა.

1.3 მ. მ.-ს განმარტებით, ადვოკატი გაეცნო დოკუმენტებს და განაცხადა, რომ თანხის ჩარიცხვისთანავე დაიწყებდა მუშაობას. 2016 წლის 6 ივნისს მ. მ.-მ ადვოკატს ჩაურიცხა 1200 (ათას ორასი) ლარი და 2016 წლის 28 ივნისს გააფორმა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, თავდაპირველად ადვოკატი აქტიურად მუშაობდა. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კონტაქტი გაწყვიტა, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს და თავადაც იშვიათად რეკავდა. 2016 წლის 8 სექტემბერს მ. ა. დაუკავშირდა საჩივრის ავტორის ქალიშვილს და აცნობა, რომ 2016 წლის 9 სექტემბერს დანიშნული იყო აუქციონი. ამასთან, ადვოკატმა განუცხადა, რომ თვალი ედევნებინა აუქციონისთვის და მოეძებნა ახლობელი, ვისაც ექნებოდა ქონების შესყიდვის საშუალება და შემდგომ ქონების დაბრუნების სურვილი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, კერძო აღმასრულებლის მიერ გაგზავნილი წინადადება „გადაწყვეტილების შესრულების შესახებ“, ადვოკატს 2016 წლის 26 ივლისს ჩაბარდა. აღნიშნულ წინადადებაში, განმარტებული იყო, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველსაყოფად დაწყებული იყო სააღსრულებო წარმოება და გადაწყვეტილების ნებაყოფილობით შესრულებისთვის განისაზღვრა 7 დღის ვადა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდებოდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატს აღნიშნული წინადადების შესახებ მ. მ.-ს არ უცნობებია, შესაბამისად, კლიენტს საშუალება არ ჰქონდა რაიმე მოქმედება განეხორციელებინა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა სასამართლოს აუქციონის დაწყებიდან რამოდენიმე დღეში მიმართა და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

1.7 მ. მ.-ს განმარტებით, 2016 წლის 28 სექტემბერს ადვოკატმა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავჯდომარეს მიმართა აუქციონის შეწყვეტის შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაზეც, განცხადებაში მოყვანილი არასაკმარისი გარემოებებიდან გამომდინარე, უარი ეთქვა, რაც ადვოკატმა კანონით დადგენილი წესით არ გაასაჩივრა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ა.-მ მასთან საუბარში აღნიშნა, რომ საქმე გართულდა, გაიყო სამ ნაწილად და აუქციონზე ქონების შემძენს, აღმასრულებელსა და „ე. კ.-ს“ ცალ-ცალკე ედავებოდა. ამასთან, დასძინა რომ ქონების დაბრუნება გამორიცხული იყო.

1.9 მ. მ. აღნიშნავს, რომ სასამართლოში შესატანი ბაჟი, 1350 (ათას სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, მისმა ქალიშვილმა, მ. დ.-მ გადასცა ადვოკატს. ასევე, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, მ. დ.-მ განმარტა, რომ ადვოკატს გადასცემდა ხელზე სასამართლოში წასვლის ხარჯებს, 100 (ასი) და 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდნობით.

1.10 მ. მ.-ს განმარტებით, მან 2017 წლის სექტემბერში მოიძია თანხა და სთხოვა ადვოკატს ქონების აუქციონზე შემძენთან დაკავშირება და ბინის სანაცვლოდ თანხის შეთავაზება, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ თავად დაკავშირებოდა მას. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, აქვს ეჭვი, რომ მ. ა.-ს გარკვეული ინტერესი და პირდაპირი თუ ირიბი კავშირი აქვს კომპანია “ე. კ.”, რის გამოც საჩივრის ავტორმა დაკარგა სადავო ქონება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა, მ. ა.-მ 2018 წლის 4 მაისს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, ხოლო საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობა მიიღო 2018 წლის 31 მაისს გამართულ საპროცესო სხდომაზე. ადვოკატმა განმარტა, რომ 2016 წლის ივნისის შუა რიცხვებში საადვოკატო მომსახურებისთვის მიმართა მ. დ.-მ, რომელმაც განაცხადა, რომ შპს "ე. კ.-ს" გამოტანილი ჰქონდა სესხი და ვინაიდან ვერ იხდიდა სესხს სურდა კონსულტაცია და შესაძლო სამართლებრივი დახმარება. მირანდა დგებუაძესთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ სესხი გამოტანილი ყოფილა დედამისის, მ. მ.-ს სახელზე და ამავე სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული იყო მ. მ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებული ბინა. აღნიშნული ფაქტის გარკვევის შემდეგ, ადვოკატმა მ. დ.-ს განუმარტა, რომ ვინაიდან სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების მხარე იყო მ. მ. ასეთ შემთხვევაში, სამართლებრივი დახმარების მიღწევის მიზნით უნდა მიემართა მ. მ.-ს და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში კლიენტი იქნებოდა მხოლოდ ის. ამასთან, მ. დ.-ს თან არ ჰქონდა დოკუმენტები და შესაბამისად, ადვოკატმა განუმარტა, რომ სწორი და სრული კონსულტაციის მიზნით მ. მ.-ს თან უნდა წამოეღო სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. დ. შეხვედრიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, მის საადვოკატო ბიუროში მივიდა მ. მ. და ადვოკატს წარმოუდგინა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. მ. მ.-მ ადვოკატს განუმარტა, რომ სურდა კონსულტაციის გაწევა და შესაძლო დახმარება სესხის გადახდის ვადის გახანგრძლივების მიზნით. სხვა მოთხოვნა მ. მ.-ს არ ჰქონდა და ასევე სხვა დოკუმენტი პირველ შეხვედრაზე არ წარმოუდგენია. ადვოკატის მითითებით, მან მ. მ.-ს განუმარტა, რომ სწორი სამართლებრივი რჩევის მიცემის მიზნით ასევე უნდა წარმოედგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის გრაფიკი; ამონაწერი მის მიერ გადახდილი თანხების მითითებით ან/და მის მიერ პროცენტების თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები; კრედიტორი კომპანიის მიერ გაცემული ცნობა, სადაც მითითებული იქნებოდა - რა თანხას ედავებოდა შპს "ე.-კ." მ. მ.-ს და რამდენი იყო ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი, პირგასამტეხლო და სხვა მის ხელთ არსებული და საქმესთან დაკავშირეული დოკუმენტები. ადვოკატის განმარტებით შემდგომში, რიგი დოკუმენტების მოძიება ადვოკატის მიერ მოხდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-ს გააცნო საქმის არსი და შესაძლო შედეგები, თუმცა არ მისცა გარანტია, რომ საქმეს აუცილებლად მოიგებდა. მეტიც, როდესაც მ. მ. ადვოკატთან მივიდა, იძულებითი აღსრულებაც არ მიმდინარეობდა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო დავათა გადაწყვეტის ალტერნატიული წესი და არც მ. მ.-მ და არც ადვოკატმა არ იცოდა, თუ დავის გადაწყვეტის რომელ წესს აირჩევდა კრედიტორი კომპანია. შესაბამისად, როდესაც არ არსებობდა ოფიციალურად არცერთი მხარის მიერ დავის რეჟიმში გადასვლის შესახებ შეტყობინება, ბუნებრივია, არც მ. მ.-ს ჰქონია ადვოკატის მხრიდან საქმის აუცილებლად მოგებით დასრულების მოლოდინი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 28 ივნისს, მ. მ. და მ. ა.-ს შორის შედგა შეთანხმება და ხელი მოეწერა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას. მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების და ხელშეკრულების 1.1. პუნქტის თანახმად, მ. ა.-ს მ. მ.-ის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სესხის გადახდის ვადის პროლონგირებაში ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებაში. ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლით მხარეების შეთანხმების შესაბამისად მ. მ.-ს წინასწარ ჰონორარის სახით ადვოკატისათვის უნდა გადაეხადა 1200 ლარი. ამასთან, მე-3 მუხლის თანახმად,

მ. მ.-მ იკისრა ვალდებულება, როგორც მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გონივრულ ფარგლებში ანაზღაურების, ისე საქმეზე საჭირო ბაჟის თანხის გადახდის. ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის რაიმე სპეციალურ წესზე არ შეთანხმებულა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 6 ივლისს მ. მ.-მ მ. ა.-ს ანგარიშზე ჩარიცხა საადვოკატო მომსახურების შეთანხმებული ჰონორარი - 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

2.6 ადვოკატის განმარტებით, კერძო აღმასრულებლის მიერ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების პროცედურების დაწყებისას, კერძო აღმასრულებლის მიერ 2016 წლის 13 ივლისს შედგენილი წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფილობით შესრულების შესახებ 2016 წლის 26 ივლისს საქართველოს ფოსტის ოფისში ჩაბარდა. მ. ა.-ის მითითებით, იმავე დღეს ანუ 2016 წლის 26 ივლისს მ. მ.-ს განუმარტა მიღებული წინადადების შინაარსი და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, მათ შორის მისი უფლება 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით გადაეხადა დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო აღმასრულებელი დაიწყებდა იძულებით აღსრულებას, თანხების გადახდევინების მიზნით, რასაც საბოლოოდ მოჰყვებოდა მისი უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია.

2.7 ადვოკატის განმარტებით, კერძო აღმასრულებელსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელს შორის არსებული მიმოწერიდან ირკვევა, რომ მოსალოდნელი აუქციონის შესახებ უკავშირდებოდა როგორც ადვოკატს, მ. ა.-ს ასევე მ. მ.-ს შვილს, მ. დ.-ს. ადვოკატის განმარტებით, მან, 2016 წლის 31 აგვისტოს მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელს და მოითხოვა აუქციონის დანიშვნის შესახებ ცნობა, რომელიც ჩაბარდა 2016 წლის 1 სექტემბერს, აღნიშნული ცნობით დასტურდებოდა, რომ მ. მ.-ს ქონებაზე აუქციონი არ მიმდინარეობდა. ადვოკატმა 2016 წლის 8 სექტემბერს მოსალოდნელი აუქციონის შესახებ ინფორმაციის გაგებისთანავე, ინფორმაცია მიაწოდა მ. მ.-ს და კიდევ ერთხელ თხოვა, გადაეხადა ბაჟის თანხა, რაც საჭირო იყო სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნით განცხადების აღძვრის მიზნით.

2.8 მ. ა.-ს განმარტებით, 2016 წლის 9 სექტემბერს სასამართლოში წარადგინა განცხადება - სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რომლის შესატანად გათვალისწინებული ბაჟის თანხა 50 ლარის ოდენობით ადვოკატმა მისი კუთვნილი თანხებიდან გადაიხადა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა, რაც ადვოკატის მიერ გასაჩივრდა და რისთვისაც ადვოკატის მიერ დამატებით გადახდილი იქნა 50 ლარი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.9 ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2016 წლის 18 სექტემბერს, მ. მ.-ს შვილმა, მ. დ.-მ ადვოკატის ოფისში მ. მ.-ს სახელით გადასცა სამოქალაქო სარჩელის შესატანად სახელმწიფო ბაჟი, 1350 ლარის ოდენობით. საიდანაც, 1318,44 ლარი შეიტანა სახელმწიფო ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი თანხა გამოქვითა მის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის გადახდილი ბაჟის თანხის ანგარიშს. სარჩელი შეტანილი იქნა, შპს "ე. კ.", ნოტარიუსისა და კერძო აღმასრულებლის მიმართ. ადვოკატმა ასევე განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავჯდომარეს მ. მ.-ს ქონებაზე

გამოცხადებული აუქციონის შეწყვეტის მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა. ადვოკატის მიერ ასევე სარჩელი იქნა წარდგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ სააღსრულებო განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელზედაც ბაჟი გადახდილი იქნა 100 ლარის ოდენობით, რაც მ. მ.-მ ადვოკატს ხელზე გადასცა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-ს საქმეზე გაწერილი ხარჯების შესახებ ზუსტ აღრიცხვას აწარმოებდა. 2017 წლის 7 თებერვალს მ. მ.-ს შვილმა, მ. დ.-მ ადვოკატის ანგარიშზე ჩარიცხა 100 ლარი, რაც გათვალისწინებული იყო 2017 წლის 8 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომის სამივლინებო თანხად. ასევე 2017 წლის 3 მაისს, მ. დ.-მ ხელზე გადასცა ადვოკატს 2017 წლის 4 მაისს გამართულ სხდომაზე გამოცხადების მიზნით შეთანხმებული სამივლინებო ხარჯი. 2017 წლის 8 ივნისს მ. დ.-მ ადვოკატის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა 2017 წლის 12 ივნისს გამართულ სხდომაზე გამოცხადების მიზნით შეთანხმებული სამივლინებო ხარჯები. ასევე მ. დ.-მ ადვოკატის კუთვნილ ანგარიშზე ჩარიცხა 150 ლარი, რაც გათვლისწინებული იყო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისთვის.

2.11 ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2016 წლის 17 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით, დაუკავშირდა პიროვნება, რომელმაც აუქციონის წესით რეალიზაციის მეშვეობით შეიძინა მ. მ.-ს სადავო ქონება. აღნიშნულმა პიროვნებამ მ. მ.-ს განუცხადა, რომ მომხდარიყო ქონების დაცლა, რაზედაც მ. მ.-მ უარი განაცხადა. 2016 წლის 28 ოქტომბერს ქონების მესაკუთრემ აღძრა სარჩელი და მოითხოვა მ. მ.-ს ბინიდან გამოსახლება, აღნიშნულ საქმეზეც მ. მ.-ს ინტერესები დაიცვა მ. ა.-მ.

2.12 მ. ა.-ს განმარტებით, მის მიერ მ. მ.-ს გაწეული საადვოკატო მომსახურება იყო დროული, კეთილსინდისიერი და ეთიკის კოდექსის ყველა ნორმის დაცვით განხორციელებული. ადვოკატმა ასევე უარყო საჩივრის ავტორის მითითებები მოწინააღმდეგე მხარესთან გარიგებაში შესვლის შესახებ და განმარტა, რომ ის აგრძელებდა კლიენტის წარმომადგენლობას სასამართლოში მიმდინარე საქმეებზე, თუმცა კლიენტმა ადვოკატი თავად აიცილა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 20 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა, მ. ა.-მ მ. მ.-ს მიმართ დაწყებული სააღსრულებო წარმოების შესაჩერებლად არ განახორციელა შესაბამისი მოქმედებები; ადვოკატმა არაკვალიფიციურად დაიცვა კლიენტის ინტერესები სასამართლოში, რის გამოც მ. მ.-მ დაკარგა ქონება; მ. ა. პერიოდულად არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე - მ. ა.-მ კლიენტს დროულად არ აცნობა კერძო აღმასრულებლის მიერ ადვოკატისთვის გაგზავნილი წინადადების თაობაზე, რომლითაც განისაზღვრა 7 დღიანი ვადა გადაწყვეტილების ნებაყოფილობით შესრულებისთვის და ადვოკატმა კლიენტს არ აცნობა აუქციონის დანიშვნის თარიღის შესახებ; ადვოკატმა ურთიერთობის დაწყების დროს გარანტია მისცა მ. მ.-ს, რომ დავა კლიენტის სასარგებლოდ გადაწყდებოდა; ადვოკატს გარკვეული ინტერესი და პირდაპირი თუ ირიბი კავშირი ჰქონდა მის მოწინააღმდეგე მხარესთან, კომპანია “ე.-კ.”.

5.2 პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ადვოკატმა მ. მ.-ს მიმართ დაწყებული სააღსრულებო წარმოების შესაჩერებლად შესაბამისი მოქმედებები არ განახორციელა და ამავე დროს არაკვალიფიციურად დაიცვა კლიენტის ინტერესები სასამართლოში, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ა.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.2.1 ადვოკატი კლიენტთან საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურება განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს კანონით დადგენილი ყველა საშუალება. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი საქმის მსვლელობისას, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით მოიპოვოს საქმისთვის მნიშნელოვანი მტკიცებულებები და წარმოადგინოს კლიენტი სხვადასხვა ორგანოსა თუ დაწესებულებაში, მათ შორის წარადგინოს სარჩელი და შუამდგომლობები სასამართლოში და მიმართოს განცხადებით საჯარო თუ კერძო დაწესებულებებს, აღნიშნული მოქმედებებით ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა.

5.2.2 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების მიხედვით (განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten): ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.“

5.2.3 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ადვოკატმა არაკვალიფიციურად დაიცვა მისი ინტერესები სასამართლოში, რადგან არ დაკმაყოფილდა ადვოკატის მიერ შეტანილი განცხადება სააღსრულებო ფურცლის შეჩერების თაობაზე. ასევე ადვოკატმა არ გაასაჩივრა აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატის მიერ შეტანილი განცხადება აუქციონის შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

5.2.4 მ. ა. არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს ადვოკატის მოქმედებებთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ აუქციონის გამართვის დღეს, 2016 წლის 9 სექტემბერს განცხადება შეიტანა სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ასევე სარჩელი შეიტანა მ. მ.-ს კრედიტორის, შპს „“, ნოტარიუსისა და კერძო აღმასრულებლის წინააღმდეგ. ადვოკატმა ასევე განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს მ. მ. ქონებაზე გამოცხადებული აუქციონის შეწყვეტის მოთხოვნით და სარჩელი შეიტანა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ სააღსრულებო განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

5.2.5 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს 2016 წლის 28 ივნისს მ. მ. და მ. ა.-ს შორის გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე, რომლის 1.1 პუნქტის მიხედვით „ადვოკატი ვალდებულებას ღებულობს კლიენტს გაუწიოს საადვოკატო მომსახურება, დაკავშირებული შპს „ე. კ“ გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ინტერესი არის სესხის გადახდის ვადის გახანგრძლივება ან/და პროლონგირება და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება“.

5.2.6 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატ, მ. ა.-ს მ. მ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით სესხის პროლონგირებისაკენ და პირგასამტეხლოს შემცირებისაკენ მიმართული ქმედებების გარდა, არაერთი მოქმედება აქვს განხორციელებული, მათ შორის მ. მ.-ს ქონებაზე დაწყებული სააღსრულებო პროცედურების შეჩერების მიზნით. საქმეში წარმოდგენილია 2016 წლის 9 სექტემბერის მდგომარეობით, ადვოკატის მიერ შედგენილი განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც ადვოკატმა მოითხოვა: ნოტარიუსის გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება, კერძო აღმასრულებლის მიერ დაწყებული სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერება და მ. მ.-ს უძრავ ქონებაზე მიმდინარე აუქციონის შეწყვეტა. ასევე საქმეში წარმოდგენილია ადვოკატის მიერ წარდგენილი საჩივარი, 2016 წლის 16 სექტემბრის მდგომარეობით, რომლითაც გასაჩივრებული იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, მ. ა.-ს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი თქმის შესახებ. ასევე საქმეშია ადვოკატ მ. ა.-ს მიერ წარდგენილი განცხადება კრედიტორი

კომპანიის წინააღმდეგ, 2016 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, რომლითაც ადვოკატი ითხოვს აუქციონის შეწყვეტას და მორიგებას. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ასევე დგინდება, რომ მ. მ. და შპს „“ შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის მოწესრიგებისა და მ. მ.-ს ინტერესების დაცვის განხორციელების მიზნით ადვოკატმა 2016 წლის 18 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა: ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა; შპს "ე.-კ." არსებული დავალიანების დადგენა; სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების და გრაფიკის, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების ბათილად ცნობა; პირგასამტეხლოს შემცირება და მ. მ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ ქონებაზე ყადაღის მოხსნა.

5.2.7 საქმეში ასევე წარმოდგენილია, 2016 წლის 28 სექტემბრის განცხადება, რომლითაც მ. ა.-მ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართა მ. მ.-ს ქონებაზე გამოცხადებული აუქციონის შეწყვეტის მოთხოვნით. ადვოკატმა ასევე მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2016 წლის 14 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, რომლითაც ადვოკატმა მოითხოვა მ. მ.-ს სახელზე გაცემული სააღსრულებო განკარგულების ბათილად ცნობა.

5.2.8 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ მ. ა. მ. მ.-ს დაცვის მიზნით მოქმედებდა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებული ურთიერთობა ემსახურებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას. ის ფაქტი, რომ საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის სასარგებლო შედეგი, თავისთავად არ გულისხმობს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მომსახურებას.

5.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ადვოკატმა კლიენტს დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.”
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა."

5.3.1 ადვოკატის ვალდებულება, მიაწოდოს კლიენტს მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს. ადვოკატის მოვალეობაა გააცნოს კლიენტს საქმის წარმოებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის შინაარსი და ასევე მასთან შეთანხმებით დაგეგმოს და განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით განსახორციელებელი ქმედებები. ეს ვალდებულება მჭიდროდაა დაკავშირებული კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან.

5.3.2 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №057/10, დაადგინა, რომ „ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა

კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და უნდა მიიღოს მისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნას მოწონებული კლიენტის მიერ. კლიენტი ენდობა ადვოკატს და ადვოკატმა უნდა გაამართლოს ეს ნდობა".

5.3.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა აიღო ის შეუდგა კლიენტის ინტერესების დაცვას, თუმცა მოგვიანებით კლიენტს აღარ ეკონტაქტებოდა და სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა, ამასთან არ აცნობა საქმისათვის მნიშნელოვანი გარემოებების შესახებ. კერძოდ, ადვოკატმა საჩივრის ავტორის წარმომადგენელს არ აცნობა კერძო აღმასრულებლის მიერ გაგზავნილი „გადაწყვეტილების შესრულების შესახებ" წინადადების თაობაზე. ასევე, 2017 წლის 9 სექტემბერს მ. მ.-ს ქონებაზე დანიშნული აუქციონის შესახებ კლიენტს 2017 წლის 8 სექტემბერს აცნობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, იმის გამო რომ არ ჰქონდა ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული გარემოებების შესახებ, შესაბამისად ვერ განახორციელა შესაბამისი მოქმედებები და ქონება დაკარგა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს.

5.3.4 ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის პრეტენზიას ინფორმაციის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ 2016 წლის 13 ივლისს შედგენილი წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფილობით შესრულების შესახებ 2016 წლის 26 ივლისს საქართველოს ფოსტის ოფისში ჩაბარდა, რაც კლიენტს - მ. მ.-ს იმავე დღეს აცნობა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები განუმარტა, მათ შორის მისი უფლება 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით გადაეხადა დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო აღმასრულებელი დაიწყებდა იძულებით აღსრულებას თანხების გადახდევინების მიზნით, რასაც საბოლოოდ მოჰყვებოდა მისი უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია. ასევე, ადვოკატი უთითებს, რომ მ. მ.-ს 2016 წლის 8 სექტემბერს კიდევ ერთხელ აცნობა მოსალოდნელი აუქციონის ჩატარების შესახებ, რის თაობაზეც ასევე ინფორმაცია მიწოდებული ჰქონდა კერძო აღმასრულებლისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის მიერ.

5.3.5 ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, დგინდება, რომ ადვოკატმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღმასრულებელს განცხადებით მიმართა, აუქციონის გამოცხადების თარიღის გაგების მოთხოვნით. განცხადებაზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2016 წლის 1 სექტემბრის პასუხის თანახმად, ირკვევა, რომ მ. მ.-ს საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე იძულებითი აუქციონი გამოცხადებული არ არის. საქმეში ასევე წარმოდგენილია კერძო აღმასრულებელსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელს შორის არსებული მიმოწერა, საიდანაც დგინდება, რომ 2016 წლის 8 სექტემბერს როგორც ადვოკატს, ასევე მ. მ.-ს შვილს, მ. დ.-ს მიეწოდა ინფორმაცია 2016 წლის 8 სექტემბერს აუქციონის დაწყების შესახებ, ამავე დღეს ადვოკატს ეცნობა, რომ 8 სექტემბერს ვერ მოესწრო აუქციონის ჩატარება და აუქციონი დაიწყებოდა მეორე დღეს, 2016 წლის 9 სექტემბერს.

5.3.6 მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტს აუქციონის დანიშვნის თარიღის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა იმ დღეს, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატისთვის ცნობილი გახდა. ამდენად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება არ დარღვეულა.

5.4 პრეტენზიაზე, რომ ადვოკატმა ურთიერთობის დაწყების დროს გარანტია მისცა კლიენტს, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ა.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–3 ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგთან დაკავშირებით“.

5.4.1 ადვოკატის მიერ საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა აკრძალულია, ვინაიდან ადვოკატი არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი. ადვოკატი ვალდებულია არ შეუქმნას კლიენტს გარკვეული მოლოდინები, რისი მიუღწევლობის შემთხვევაში ადვოკატისადმი და ადვოკატის პროფესიისადმი ნდობა დაიკარგება.

5.4.2 ეთიკის კომისია ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემის აკრძალვის პრინციპთან დაკავშირებით 2011 წლის 21 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმეზე №054/11 განმარტავს, რომ „საქმეზე გარანტიის მიცემა კლიენტისთვის, იქნება ეს სასამართლო პროცესი თუ ადმინისტრაციული საქმისწარმოება, მაშინ როდესაც ადვოკატის მიერ დაპირებული პირობები არ სრულდება, იწვევს ნდობის დაკარგვას ადვოკატთა პროფესიისადმი და დამატებით, მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციას. ამიტომ ეს აკრძალულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით და ადვოკატებმა მკაცრად უნდა დაიცვან ეს აკრძალვა, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ადვოკატებმა არ შეიძლება აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული ამა თუ იმ რისკის დონის და პროცესის სავარაუდო დასრულების მათი შეფასების შესახებ“.

5.4.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატს, მ. ა.-ს სამართლებრივი დახმარების მიღების მიზნით მიმართა. მას უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები კრედიტორთან, რომელთანაც მ. მ.-ს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე. საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველივე კონსტალიტაციისას, ადვოკატი მას საქმის მორიგებით დამთავრებას დაჰპირდა. მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელმაც სარწმუნო მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს ადვოკატის მიერ გარანტიის მიცემის ფაქტი.

5.4.4 ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის მტკიცებას და განმარტავს, რომ მას კლიენტისთვის არ მიუცია გარანტია დავის წარმატებით დასრულების შესახებ, ვინაიდან კლიენტთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ადვოკატს უნდა განეხორციელებინა კლიენტის ინტერესების დაცვა სესხის გადახდის ვადის გახანგრძლივების ან/და პროლონგირებისა და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტხელოს შემცირების მიზნით. შესაბამისად, როდესაც კლიენტი მასთან მივიდა კრედიტორთან დავა დაწყებულიც არ იყო.

5.4.5 საჩივრის ავტორის მითითება, რომ ადვოკატმა მას გარანტია მისცა დავის წარმატებით დასრულების შესახებ, არ დასტურდება სხვა მტკიცებულებით, გარდა მხარის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებისა. საპროცესო კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ საქმის მასალებიდან დგინდება, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის დაწყებისას კლიენტის მიმართ სამართლებრივი დავა არ მიმდინარეობდა, შესაბამისად შეუძლებელი იყო ადვოკატის მიერ გარანტიის მიცემა, დავის მის სასარგებლოდ დასრულების შესახებ. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიერ არ დარღვეულა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი.

5.5 პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ადვოკატს გარკვეული ინტერესი და პირდაპირი თუ ირიბი კავშირი ჰქონდა მის მოწინააღმდეგე მხარესთან, ეთიკის კომისიამ იმსჯელა მ. ა.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–5 მუხლის შესაძლო დარღვევაზე, რომლის მიხედვით:

> „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა“.

5.5.1 კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ადვოკატისთვის ერთ-ერთ მნიშნელოვან ეთიკური ვალდებულებას წარმოადგენს. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს კლიენტის ინტერესებს, დაიცვას ისინი და დააყენოს სხვა პირთა ან პირად ინტერესებზე მაღლა.

5.5.2 მ. მ. საჩივარში აღნიშნავს, რომ აქვს დასაბუთებული ეჭვი ადვოკატის ინტერესისა და პირდაპირი თუ ირიბი კავშირის შესახებ მის მოწინააღმდეგე მხარესთან, კომპანია „“. რასაც ადვოკატი უარყოფს და აღნიშნავს, რომ ის კეთილსინდისიერად წარმოადგენდა მ. მ.-ს ინტერესებს. მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს - მ. მ.-ს, რომელმაც სარწმუნო მტკიცებულებით უნდა დაასაბუთოს წარმოდგენილი პრეტენზია ადვოკატის მიმართ.

5.5.3 კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის ეჭვი არ შეიძლება გაზიარებულ იქნას დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლად. საჩივრის ავტორის მიერ დაყენებული პრეტენზია კონკრეტულად უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისი არგუმენტებით გამყარებული. მ. მ. არ წარმოუდგენია არათუ სარწმუნო, არამედ არანაირი მტკიცებულება ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გარკვეული ინტერესის არსებობის შესახებ. შესაბამისად, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში მოცემული მასალების საფუძველზე არ დგინდება ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევა.

5.6. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ვერ დგინდება ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. ეთიკის კომისიამ სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ვერ დაადგინა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის; „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის“ კოდექსის მე–5 მუხლის, მე–8 მუხლის მე-3, მე–5 და მე-6 ნაწილების დარღვევის ფაქტი, რის გამოც ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.7. საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 32–ე და 33–ე მუხლებით; „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის“ კოდექსის მე–5 მუხლით, მე–8 მუხლის მე-3, მე–5 და მე-6 ნაწილებით; „ადვოკატთა

დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №044/18 ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიისწევრი: /ანა ლორია/